„დამტკიცებულია“
სს „ნიკორა ტრეიდი“–ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი“

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ

დებულება

ქ.თბილისი
2023 წელი

სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულების „კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ" (შემდგომში – დებულება) მიზანია სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი" (შემდგომში – კომპანია) კორპორაციული მართვის დახვეწა და სისტემატიზაცია, კომპანიის მართვის მეტი გამჭირვალეობის უზრუნველყოფა და დადასტურება იმისა, რომ კომპანია დაიცავს საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე კორპორაციული მართვის შემდეგ მიდგომებს:

- კომპანიის მმართველობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი პასუხისმგებლობითა და ანგარიშვალდებულებით და ისე, რომ მაქსიმიზირებული იყოს კომპანიის აქციების საბაზრო ღირებულება და სხვა შედეგები კომპანიის მონაწილეთათვის;
- სამეთვალყურეო საბჭომ და აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა იმუშაონ ეფექტურად კომპანიისა და მონაწილეთა ინტერესებისათვის და შექმნან კომპანიის აქციების საბაზრო ღირებულების მყარი ზრდის პირობა;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭირვალეობა, ინფორმაციის შესაბამისად გახსნილობა, ასევე რისკების მართვის სისტემებისა და შიდა კონტროლის სისტემების გამართული მუშაობა.

1.2. იღებს რა ამ დებულებას, მომავალში მისი, კორპორაციული ეთიკის შესახებ დებულებისა და კომპანიის წესდების განუხრელად შესრულებით კომპანია აღიარებს კორპორაციულ მართვას, როგორც სააქციო საზოგადოების მართვის საუკეთესო მეთოდს.

1.3. წინამდებარე დებულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების, კომპანიის წესდების, კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრაქტიკისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

მუხლი 2. კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები

კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემის ფორმირების, დახვეწისა და ფუნქციონირების საფუძვლებს წარმოადგენს შემდეგი ძირითადი საწყისები (პრინციპები):

2.1 ანგარიშვალდებულება – ეფექტური მმართველობა

2.1.1 კომპანიის მართვის პოლიტიკა მიმართულია აქციონერთა ინტერესების მაქსიმალური დაცვისაკენ, ასევე კომპანიის (ბიზნესის) აქციების საბაზრო ღირებულების ზრდაზე.

2.1.2 კომპანიის მართვის აუცილებელი ელემენტია განვითარების სტრატეგიის რეგულარული შემუშავება, განხილვა და დამტკიცება, აგრეთვე როგორც ცალკეული ბიზნეს მიმართულებების, ასევე მთლიანად კომპანიის მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

2.1.3 კომპანიის ეფექტური მართვა გულისხმობს დაგეგმარებას, ასევე გეგმების შესრულების კონტროლისა და ბიზნეს–განყოფილებების მუშაობის შედეგების შეფასების ეფექტურ სისტემებს.

2.1.4 სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერთა კრების, დირექტორატი/აღმასრულებელი დირექტორი – სამეთვალყურეო საბჭოს და თანამშრომლები – აღმასრულებელი დირექტორის წინაშე. დებულების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭო შეიმუშავებს სტრატეგიასა და ახორციელებს აღმასრულებელი ორგანოების მართვასა და მათი საქმიანობის კონტროლს.

2.2 სამართლიანობა

2.2.1 კომპანია თანაბრად იცავს ყველა აქციონერის, მიუხედავად მისი წილობრივი მონაწილეობისა, ინტერესებს. კომპანიის აღიარებს აქციონერის უდავო უფლებას მიიღოს მონაწილეობა კომპანიის მართვაში და ეხმარება მას კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების რეალიზაციაში.

2.2.2. კომპანიის აქციონერს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კომპანიის მართვაში მინიმუმ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის გზით.

2.2.2 აქციონერს აქვს უფლება მიიღოს სრული ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის, შედეგებისა და განხორციელებული პოლიტიკის შესახებ.

2.3 გამჭვირვალეობა

2.3.1 კომპანიამ დროულად და ზუსტად უნდა გახსნას ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, მათ შორის: ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის ხარისხის, საკუთრებისა და კომპანიის მართვის შესახებ. ამასთან დაცული უნდა იქნას გონივრული ბალანსი გახსნილობასა და კომპანიის კომერციულ ინტერესებს შორის.

2.3.2 კომპანია დროულად, სრულად და საჯაროდ აქვეყნებს წლიურ ფინანსურ ანგარიშსა და აუდიტორულ დასკვნას.

2.3.3 კომპანია დროულად ამჟღავნებს ინფორმაციას იმ ძირითად შედეგებზე, გეგმებსა და მისი საქმიანობის პერსპექტივებზე, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ აქციონერთა ქონებაზე ან უფლებებზე, თუმცა ამავე დროს შემუშავებული და დაცული უნდა იქნას კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის მკაცრი და საიმედო მექანიზმი.

2.4 პასუხისმგებლობა, კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების დაცვა

2.4.1 კომპანია იცავს ყველა მონაწილის უფლებას და უზრუნველყოფს ყველა მონაწილისადმი თანაბარ მიდგომას. სამეთვალყურეო საბჭო ცდილობს დაცული იქნას დაინტერესებული მხარეების ინტერესები მათი უფლებების შელახვის

შემთხვევაში, კონფლიქტურ სიტუაციებში ცდილობს იპოვოს სამართლიანი, დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც მისაღები იქნება კომპანიისა და აქციონერებისათვის.

2.4.2 კომპანია აღიარებს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს და ფინანსური მდგრადობისა და თავისი მიზნების მისაღწევად ისწრაფვის მათთან თანამშრომლობისაკენ. კომპანია, მისი პასუხისმგებელი პირები და თანამშრომლები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს საკანონმდებლო და საქმიან წრეებში მიღებული ეთიკური ნორმებით.

2.4.3 კომპანიის საკადრო პოლიტიკის მიზანია პროფესიონალური გუნდის ჩამოყალიბება, ზრუნვა მათი კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე. კომპანია ზრუნავს თავის თანამშრომლებზე, იცავს კანონმდებლობით მინიჭებულ მათ უფლებებსა და სოციალური დაცვის ნორმებს.

2.4.4 კომპანია თავის საქმიანობას აწარმოებს საყოველთაოდ მიღებული ბიზნეს ეთიკის, საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობის, კომპანიის წესდების, კორპორაციული ეთიკის შესახებ დებულების, ამ დებულებისა და ამ დებულებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი შიდა დოკუმენტების (შინაგანაწესი, დებულებები, პოლიტიკები, პროცედურები და სხვა) შესაბამისად.

მუხლი 3. კომპანიის მმართველი ორგანოები

კომპანიის მართვის სტაბილური ფუნქციონირებისათვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილება კომპანიის საზედამხედველო, აღმასრულებელსა და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის, რომელთა ფუნქციები სრულად უნდა უზრუნველყოფდნენ კომპანიის მართვას და არ უნდა იყვნენ დუბლირებულნი.

კომპანიის მმართველობითი ორგანოებია:

- **აქციონერთა საერთო კრება;**
- **სამეთვალყურეო საბჭო;**
- **დირექტორატი;**
- **აუდიტის კომიტეტი**
- **შიდა აუდიტის სამსახური**
- **კორპორაციული მდივანი**



3.1 აქციონერთა საერთო კრება

3.1.1 აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელში მონაწილეობის გზით აქციონერი ახორციელებს კომპანიაში თავისი მონაწილეობის საქართველოს კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრულ უფლებებს. კრება უნდა იყოს მოწვეული და ორგანიზებული ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას აქციონერებისადმი თანაბარი მიდგომა.

3.1.2 კრებაზე მოწვევასთან ერთად კომპანიამ თითოეული აქციონერისათვის უნდა უზრუნველყოს ადვილად ხელმისაწვდომობა კრებაზე განსახილველი საკითხების შესახებ მაქსიმალურად სრულ ინფორმაციაზე, რათა აქციონერს შეეძლოს საკუთარი პოზიციის დროულად ჩამოყალიბება. კრებაზე განსახილველი საკითხები უნდა იყოს მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული.

3.1.3 კრება უნდა ჩატარდეს ისე, რომ თითოეულ აქციონერს შეეძლოს თავისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება კრებაზე განხილულ საკითხებზე. კრების თავმჯდომარე უნდა ეცადოს, რომ აქციონერმა კრებაზევე მიიღოს ამომწურავი პასუხი მის მიერ დასმულ შეკითხვაზე.

3.1.4 კენჭისყრისას ხმების დათვლის პროცედურა უნდა იყოს მარტივი და გამჭირვალე, რათა თითოეული აქციონერი დარწმუნებული იყოს კენჭისყრის შედეგებში.

3.2 სამეთვალყურეო საბჭო

3.2.1 სამეთვალყურეო საბჭო არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ, იგი ახორციელებს კომპანიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ზედამხედველობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და თავისი საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

3.2.2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.

3.2.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესს, ვადებსა და საბჭოს საქმიანობის რეგლამენტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა, კომპანიის წესდება და დებულება სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ.

3.2.4 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება რაციონალურობის, ეფექტურობისა და რეგულარულობის პრინციპებიდან გამომდინარე, მათი დასწრებული ფორმით ჩატარება მიჩნეულია ბევრად უფრო ეფექტურად, ამიტომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან მაქსიმალურად დაესწრონ სხდომებს. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებათ თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.

3.2.5 სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეკრძალებათ სხვა საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების მმართველ ორგანოებში მოღვაწეობა.

3.3 დირექტორატი/აღმასრულებელი დირექტორი

3.3.1 დირექტორატის წევრებს/აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორატი/აღმასრულებელ დირექტორი, დამოუკიდებლად ახორციელებს რა კომპანიის ყოველდღიურ მართვას, უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. იგი კოლექტიურად აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

3.3.2 დირექტორატის წევრებად უნდა იქნან დანიშნული კომპეტენტური და საქმიანი ადამიანები, რომელთაც გათავისებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა აქციონერების, კომპანიის მომხმარებლებსა და სხვა მონაწილეთა წინაშე და შეუძლიათ კეთილსინდისიერად უხელმძღვანელონ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, რითიც მიღწეული უნდა იქნას მაქსიმალური მოგება და აქციების საბაზრო ღირებულების ზრდა.

3.3.3 დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და დირექტორატის საქმიანობის რეგლამენტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა, კომპანიის წესდება და დებულება დირექტორატის შესახებ.

3.3.4 კომპანიის დირექტორატის წევრებს/აღმასრულებელ დირექტორს ეკრძალება სხვა საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების მმართველ ორგანოებში მოღვაწეობა, აგრეთვე სხვა ნებისმიერი ტიპის საწარმოს არასამეთვალყურეო მმართველი ორგანოს წევრობა.

3.4 აუდიტის კომიტეტი

3.4.1 განსაზღვრავს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკას

3.4.2 მონიტორინგს უწევს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს; თანამშრომლობს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;

3.4.3 აფასებს გარე აუდიტორის ეფექტიანობას, გამოთქვას მოსაზრებას გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგენს შესაბამისი რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით

3.4.4 განიხილავს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილს და მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს/აღმასრულებელი დირექტორის მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას

3.4.5 იღებს შიდა აუდიტის ანგარიშგებებს და უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარებას აუდიტის პროცესში, ან კონტროლს უწევს იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3.4.6 განიხილავს საწარმოს რისკების მართვის მთლიან ჩარჩოს და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას და სტრუქტურას, მათ შორის, განიხილავს მესამე პირთა მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

3.5 შიდა აუდიტი

3.5.1 შიდა აუდიტის სამსახურის ამოცანაა დახმარება გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველობაში. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. შიდა აუდიტის სამსახური ადმინისტრაციულად ექვემდებარება დირექტორატს/აღმასრულებელ დირექტორს, ხოლო ფუნქციონალურად – სამეთვალყურეო საბჭოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

3.5.2 შიდა აუდიტის სამსახური ადგილზე შემოწმების გზით აკონტროლებს კომპანიის მართვის მექანიზმების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგებების, საოპერაციო სისტემების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამართულობასა და სანდოობას, მათ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. წარმოადგენს თავის დასკვნას კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

3.5.3 შიდა აუდიტის სამსახურის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა, კომპანიის წესდება და დებულება შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ.

3.5.4 წლის ბოლოს კომპანიის საფინანსო–სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ანგარიშგების საიმედოობის შესაფასებლად სამეთვალყურეო საბჭო იწვევს/აქციონერთა კრება დამოუკიდებელ გარე აუდიტორს.

3.6 **კორპორაციული მდივანი**

3.6.1 კორპორაციული მდივანი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

3.6.2 სამეთვალყურეო საბჭო დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი.

3.6.3 სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კორპორაციულ მდივანს და განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების პირობებს.

3.6.4 კორპორაციული მდივანი ამავე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიჭებული ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.

3.6.5 კორპორაციული მდივანი ვალებულია ხელი შეუწყოს კარგი კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრებას.

3.6.6 ორპორატიული მდივნის ძირითად ფუნქციებს/ვალებულებებს წარმოადგენს:

ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს დახმარება თავიანთი საქმიანობის
განხორციელებაში;
ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსათვის კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევების მიცემა;
გ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარებაში, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;
დ) საჭირო ტრენინგები და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;
ე) ყველა კორპორაციული დოკუმენტის წარმოება ან/და შენახვა, 6 წლის ვადით;
ვ) დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის განხორციელება აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;
ზ) აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების ორგანიზება, რიგგარეშე კრების მოწვევას და ყველა საჭირო ვადების, პროცედურების (მათ შორის წესდებით დადგენილი და საკანონმდებლო მოთხოვნები) დაცვის უზრუნველყოფა კრების ჩასატარებლად.
თ) მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული
მართვის დებულებით/კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
ი) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქციის განხორციელება და ოქმების წარმოება.
კ) კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგების ჩანაწერების გაკეთება/შედგენა.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება კომპანიის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2 წინამდებარე დებულებაში ყოველი ცვლილება ან დამატება მოითხოვს წერილობით ფორმას.
4.3 დებულებაში ცვლილების შეტანა ან დამატება შესაძლებელია, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
4.4 წინამდებარე დებულება ძალაში შედის მისი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღების თარიღიდან.

ვ.სუხიაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე